საქართველოს პარლამენტის ბიუროს

მოქალაქე **ნიკოლოზ ნიკოლაძის** პ/N
[redacted] მცხ.: [redacted]
[redacted] ტელ.: [redacted] ელ. ფოსტა:
[redacted]

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 105-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ საკანონმდებლო წინადადებას „საკონსულო მოსაკრებლის შესახებ" საქართველოს კანონით რეგულირებულ იმ საკითხ(ებ)თან დაკავშირებით, რომლებთან მიმართებითაც ვფიქრობ, რომ საჭიროებს შემდომ დახვეწას.

დანართი:

- ✓ საკანონმდებლო წინადადება - ნასამართლობის ცნობის გაცემაზე საკონსულო მოსაკრებლის დაწესების შესახებ.
- ✓ 21/06/2022 1658-VIIIმს-Xმპ კანონთან მიმართებით არსებული განმარტებითი ბარათი[1].

საქართველოს პარლამენტის აპარატი
საქმისწარმოების დეპარტამენტი
შემოს.№ 1-1304/23
25 01 2023 წ. დრო 10

[1] წყარო: https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/299564

<u>საქართველოს პარლამენტს</u>

საკანონმდებლო წინადადება

ნასამართლობის ცნობის გაცემაზე საკონსულო მოსაკრებლის დაწესების შესახებ

- **ცვლილების სახეობა:** „საკონსულო მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ.

- **კანონის პროექტის მიღების დასაბუთება:** „საკონსულო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 13-ე მუხლის მე-6[1] პუნქტის შესაბამისად, საკონსულო თანამდებობის პირის მიერ საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს მოქალაქისა და საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირის ნასამართლობის შესახებ ცნობების გაცემის წესი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით. ზემოხსენებული დადგენილებით (18/06/2014; N404), საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო უზრუნველყოფს საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობებისათვის/საკონსულო დაწესებულებებისა და მესამე სახელმწიფოს დიპლომატიურ წარმომადგენლობაში შექმნილი საქართველოს ინტერესთა სექციისათვის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ელექტრონულ მონაცემთა ბაზის ხელმისაწვდომობას და მისი გამოყენებისათვის საჭირო სხვა პირობების შექმნას. ამასთან, საყურადღებოა, რომ განსხვავებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსი (მომსახურების სააგენტო), ნასამართლობის შესახებ ცნობა, „საკონსულო მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის ჟ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გაიცემა უფასოდ (თავისუფლდება საკონსულო მოსაკრებლის გადასახდელისაგან). სხვა სახის ცნობების გაცემისათვის, განსხვავებით ნასამართლობის შესახებ ცნობის მოთხოვნისას, დაინტერესებული ფიზიკური პირები იხდიან საკონსულო მოსაკრებელს 25 აშშ დოლარის ოდენობით ან/და კანონმდებლობით განსაზღვრულ ექვივალენტს ადგილსამყოფელ ვალუტაში.

  - **იდენტიფიცირებული პრობლემა, რომლის გადაჭრა საკანონმდებლო წინადადების მიზანია:** ცნობების გაცემაზე არათანასწორი სატარიფო პოლიტიკა.

მოცემული საკითხის სათანადო შეფასება ალბათ ასევე უნდა გამომდინარეობდეს უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს (ვის სერვისაც არსებიტად წარმოადგენს აღნიშნული) მიერ სატარიფო განაკვეთების გადახედვით[2]. ამ ვითარებაში აუცილებელია ასევე მხედველობაში, რომ მივიღოთ თანასწორობის პრინციპი[3], რაც თავის მხრივ უპირველეს ყოვლისა გულისხმობს არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩაყენებას არსებითად თანასწორ მდგომარეობაში მყოფ პირებთან. ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით, საზღვარგარეთ საქართველოს საკონსულო თანამდებობის პირთა მიერ გაცემული ნასამართლობის შესახებ ცნობების რაოდენობა, თუგინდ სხვა სახის ცნობებთან მიმართებით არ არის მნიშვნელოვანი მოცულობის, მისი მოთხოვნა რიგ შემთხვევებში შეიძლება დაკავშირებული იყოს დასაქმების/ ბინადრობის



---

[2] ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით, მაშინ როდესაც სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო, დაინტერესებულ ფიზიკურ პირზე განცხადებით მოთხოვნის საფუძვლად, მისი და მისი ოჯახის წევრების სამოქალაქო აქტების შესახებ აღწერილობით ინფორმაციას, წერილობითი ფორმით „ცნობი"-ს გარეშე, უფასოდ გასცემდნენ, საკონსულო თანამდებობის პირები ხსენებულს ცნობის სახით გასცემენ, აღნიშნული სახის ცნობის გაცემა კონკრეტული მარეგულირებელი აქტით არ არის განსაზღვრული (არ იგულისხმება საკონსულო საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონში არსებული ზოგადი ჩანაწერი სხვადასხვა სახის ცნობების გაცემის უფლებამოსილებაზე) რისთვისაც ახდევინებენ სხვადასხვა სახის ცნობებისათვის კანონმდებლობით განსაზღვრულ საკონსულო მოსაკრებელს (25 აშშ დოლარის ოდენობით). საკონსულო თანამდებობის პირის მიერ განცხადებაზე საპასუხო წერილობითი ინფორმაციის თარგმნის შემთხვევაშიც კი, დაინტერესებულ პირს ბევრად ნაკლები დაუჯდება სასურველი დოკუმენტალური ინფორმაციის მიღება. https://new.geoconsul.gov.ge/consular-services

[3] ბ. ძამაშვილის სადოქტორო ნაშრომის (თემაზე - თანასწორობის უფლების პრობლემური ასპექტები თანამედროვე სამართალში და მისი სათანადო რეალიზების ხელშემშლელი გარემოებები საქართველოში; ნაწილი - დისკრიმინაციის სამართლებრივი მნიშვნელობა და მისი ელემენტები; გვ. 18) მიხედვითაც - „საერთაშორისო და რეგიონალური სტანდარტების გათვალისწინებით, უნდა გამოიყოს დისკრიმინაციის შემდეგი ელემენტები : 1) ქმედება - განსხვავებული მოპყრობა; 2) შესადარებელი კატეგორია - ვისთან მიმართებითაც დგინდება განსხვავებული მოპყრობა; 3) ქმედების მიზეზი - ნიშნის არსებობა, რის გამოც პირს განსხვავებულად მოეპყრნენ; 4) ქმედების მიზანი ან შედეგი - არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩაყენება; 5) განსხვავებული მოპყრობის ობიექტური ან გონივრული განმარტების არსებობა".
წყარო: https://www.tsu.ge/assets/media/files/48/disertaciebi4/Beqa_Dzamashvili.pdf

მიზნით საბუთების შეგროვებასთან და არა ფორსმაჟორულ მდგომარეობასთან. თუმცა, ასეთ ვითარებაში ასევე მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ საკონსულო მოსაკრებლის შესახებ საქართველოს კანონით, საქართველოში დასაბრუნებელი მოწმობის გაცემისათვის დაწესებულია 35 აშშ დოლარი[4]. ხაზგასასმელია, რომ 18/06/2014 N404 დადგენილების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტისა და „საკონსულო მოსაკრებლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის გათვალისწინებით ცნობის გაცემა შესაძლებელია ინგლისურ ან ადგილსამყოფელი ქვეყნის ენაზე, უფასოდ. ამასთან, „საკონსულო მოსაკრებლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის ჟ" ქვეპუნქტით დადგენილი შეღავათი, ვფიქრობ, რომ განპირობებული უნდა ყოფილიყო იმ პერიოდით, როდესაც შსს მომსახურების სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის (ნასამართლობის შესახებ ცნობის ხუთი სამუშაო დღეში გაცემისათვის[5]) შესაძლებელი იყო საფასურის გადახდის გარეშეც მომსახურების მიღება. საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურისა და ვადების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს კანონის (21/06/2022 1658-VIIIმს-Xმპ[6]) თანახმად:

- ნასამართლობის შესახებ ცნობა გაიცემა სამი სამუშაო დღის ვადაში, საფასურს კი შეადგენს 20 ლარი, ხოლო განაცხადის შეტანიდან 1 სამუშაო დღის განმავლობაში გაცემისთვის დაჩქარებული მომსახურების საფასურის განაკვეთია 20 ლარი.

ზემოხსენებულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია რომ განხილულ იქნეს „საკონსულო მოსაკრებლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის ჟ" ქვეპუნქტით დაწესებული შეღავათის გაუქმების (ამოღება)[7] საკითხი.

---

[4] სამგზავრო დოკუმენტისათვის, რომელიც როგორც წესი გაიცემა მოქმედების ვადაგასული ან დაკარგული, ან სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთისათვის უვარგისი (გაცვეთა, დაზიანება) სამგზავრო დოკუმენტის სანაცვლოდ ან მისი არარსებობის შემთხვევაში, საქართველოში ნებაყოფლობით დაბრუნების მიზნით ან საქართველოში დეპორტაციის/ გაძევების მიზნით. სრული საფუძვლების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია შემდეგი ინტერნეტ ბმულიდან https://matsne.gov.ge/document/view/2385736?publication=4

[5] 18/06/2014 N404 დადგენილებით, ნასამართლობის შესახებ ცნობის გაცემისათვის საკონსულო თანამდებობის პირებს განსაზღვრული აქვთ ხუთი სამუშაო დღე, თუმცა, პრაქტიკაში, მისი შედგენის სიმარტივიდან გამომდინარე (ტექსტში იცვლება მხოლოდ პერსონალური მონაცემები), იგი, როგორც წესი, გაიცემა იმავე დღეს.

[6] წყარო: https://matsne.gov.ge/ka/document/view/5498853?publication=0

[7] საჭიროებისამებრ, უფლებამოსილმა ორგანომ იმსჯელოს „საკონსულო მოსაკრებლის შესახებ" საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის მე-2 პუნქტის გათვალისწინებით (ეკონომიკური ღირებულება/ პოლიტიკური მნიშვნელობა), ნასამართლობის შესახებ ცნობისათვის განაკვეთის დაწესების შესახებ, სხვა ცნობებისგან განსხვავებული, მისი ეკონომიკური ღირებულებისა თუ პოლიტიკური მნიშვნელობიდან გამომდინარე.

☞ <u>ცნობისათვის</u>: „საკონსულო მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, განსაკუთრებულ შემთხვევაში შესაძლებელია პირი გათავისუფლდეს საკონსულო მოსაკრებლის გადახდისაგან საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის, საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობის ან საკონსულო დაწესებულების ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით. ამავე მუხლით 50 ან 100 % იანი შეღავათები მოსაკრებლის გადახდაზე ასევე დაწესებული აქვთ მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებს, იძულებით გადაადგილებულ პირებად - დევნილებად ცნობილ პირებს, მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს და ომისა და თავდაცვის ძალების ვეტერანებს.

❖ საკანონმდებლო წინადადების ავტორი:

- საქართველოს მოქალაქე ნიკოლოზ ნიკოლაძე, პირადი ნომერი [redacted]
- მცხ.: [redacted]; საფოსტო ინდექსი [redacted]
- ელ. ფოსტა: [redacted] მობ.: [redacted]



25/01/2023

განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის პროექტზე
„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურისა და ვადების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:
ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:
ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი:

საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო (შემდგომ – მომსახურების სააგენტო) საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საჯარო სამართლის იურიდიული პირია, რომელიც წლის განმავლობაში საშუალოდ 680 000 ფიზიკურ პირსა და 20 000 ორგანიზაციას უწევს მომსახურებას. ამასთანავე, მომსახურების სააგენტოს საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი პრინციპია მის მიერ გაცემული დოკუმენტების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა.

მომსახურების სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურების სახეობები, საფასურის განაკვეთები, მომსახურების გაწევის წესი და პირობები წესრიგდება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურისა და ვადების შესახებ“ საქართველოს კანონით. ამ კანონის ერთ-ერთი მიზანი კი აღნიშნულ სფეროში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებაა.[1] სწორედ ამ მიზნით მომსახურების სააგენტო მუდმივად იკვლევს მომხმარებლის საჭიროებებსა და სათანადო რეკომენდაციებს და ორიენტირებულია მომსახურების შემდგომ დახვეწასა და განახლებაზე, მომხმარებლის ინტერესების მაქსიმალურ გათვალისწინებაზე. აქედან გამომდინარე, აღნიშნული კანონი დროდადრო საჭიროებს გადასინჯვასა და მასში სათანადო ცვლილებების განხორციელებას, რასაც ემსახურება ამჯერად წარმოდგენილი კანონპროექტი.

ამრიგად, კანონპროექტის მიზანია „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურისა და ვადების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის გზით მომსახურების სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურების ხარისხისა და ამ სფეროში დანერგილი ტექნოლოგიების

[1] იხ. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურისა და ვადების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლი.

გაუმჯობესების ხელშეწყობა, რაც, თავის მხრივ, მომხმარებლისთვის უკეთესი გარემოს შექმნასა და მისი ინტერესების ჯეროვან დაკმაყოფილებას ემსახურება.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა:

„ა.ა.ა" ქვეპუნქტში აღნიშნული საკითხი კანონით წესრიგდება. შესაბამისად, ამ საკითხის კანონით ახლებურად მოსაწესრიგებლად საჭიროა საკანონმდებლო ცვლილების განხორციელება.

ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები:

კანონპროექტის მიღების შედეგად გაუმჯობესდება „ა.ა.ა" ქვეპუნქტში აღნიშნული საკითხის მოწესრიგება.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა მოკლელულიანი თავდაცვის იარაღის შეძენის ნებართვას ფიზიკური პირისათვის მხოლოდ შენახვის უფლებით ითვალისწინებს (გარდა სამსახურებრივ-საშტატო იარაღის ტარების შემთხვევისა), რაც იმას გულისხმობს, რომ პირს არ აქვს მის საკუთრებაში არსებული იარაღის ტირში/სასროლეთში სროლის მიზნით გადატანის შესაძლებლობა. ეს კი ხშირად იარაღის მესაკუთრის უკმაყოფილებას იწვევს. გასათვალისწინებელია, რომ იარაღთან მოპყრობის, მათ შორის, უსაფრთხოების, წესების შესასწავლად საჭიროა, იარაღის მესაკუთრეს, სათანადო საფასურის გადახდის სანაცვლოდ, გონივრული შეზღუდვებით, თავისი იარაღის ტირში/სასროლეთში სროლის მიზნით გადატანის უფლება მიეცეს. შესაბამისად, წარმოდგენილი კანონპროექტის მიღების შედეგად, მომსახურების სააგენტო უფლებამოსილი გახდება, შენახვის უფლებით რეგისტრირებულ იარაღზე გასცეს იარაღის დროებითი მოწმობა მისი შენახვის ადგილიდან ტირში/სასროლეთში გადატანისა და შენახვის ადგილზე დაბრუნების მიზნით. იარაღის დროებითი მოწმობის საფუძველზე იარაღის გადაადგილების წესი და პირობები, იარაღის დროებითი მოწმობის ფორმისა და გაცემის წესი განისაზღვრება საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით.

ამასთანავე, ფიზიკურ პირსა და იურიდიულ პირს შესაძლებლობა ექნებათ იარაღის დროებითი მოწმობის საფუძველზე განახორციელონ შენახვის უფლებით რეგისტრირებული იარაღის გადატანა შენახვის ადგილიდან იარაღის შეკეთების ლიცენზიის მქონე პირთან მიტანისა და შენახვის ადგილზე დაბრუნების მიზნით.

კანონპროექტით ახლებურად ყალიბდება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურისა და ვადების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ე[1]" ქვეპუნქტი და ფართოვდება იარაღის დროებითი მოწმობის გაცემის საფუძვლები; კერძოდ, იარაღის დროებითი მოწმობის გაცემა შესაძლებელი იქნება:

- იარაღის შენახვის ადგილიდან ტირში ან სასროლეთში დროებით გადატანისა და შენახვის ადგილზე დაბრუნების მიზნით, რისთვისაც საფასური ერთ ერთეულ იარაღზე განისაზღვრება 30 ლარი, ერთდროულად ორ ერთეულ იარაღზე – 50 ლარი, ხოლო ერთდროულად ორ ერთეულზე მეტ იარაღზე – 100 ლარი;
- იარაღის შენახვის ადგილიდან იარაღის შეკეთების ლიცენზიის მქონე პირთან დროებით გადატანისა და შენახვის ადგილზე დაბრუნების მიზნით, რისთვისაც საფასური ერთ ერთეულ იარაღზე განისაზღვრება 20 ლარი.

კანონპროექტით წარმოდგენილი ერთ-ერთი ცვლილება ეხება სატრანსპორტო საშუალების სანომრე ნიშნის შენახვის წესს; კერძოდ, დღეს მოქმედი მოდელი ითვალისწინებს ე. წ. ფასიანი ნომრების ფიზიკურად შენახვას, რაც მოითხოვს მომსახურების სააგენტოს მიერ სათანადო ფართის გამოყოფას. ამასთანავე, აღნიშნული მოდელი მომხმარებლისთვისაც გარკვეულ დაბრკოლებებს იწვევს, ვინაიდან შენახული ნომრის აღება პირს შეუძლია მომსახურების სააგენტოს მხოლოდ იმ სტრუქტურულ ერთეულში, რომელშიც მან ნომერი ჩააბარა; ამდენად, ნომრის მოძებნა დროში ჭიანურდება; ხშირად ხდება ასევე შენახული ნომრის დაზიანება. კანონპროექტის თანახმად კი, შესაძლებელი იქნება ნომრის შენახვა არა ფიზიკურად, არამედ „ვირტუალურად". შედეგად, მომხმარებელი შეძლებს, მომსახურების სააგენტოს ნებისმიერ სტრუქტურულ ერთეულში მცირე დროში დაიბრუნოს თავისი სატრანსპორტო საშუალების სანომრე ნიშანი.

კანონპროექტით ცვლილება შედის „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურისა და ვადების შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის „ე" და „ზ" ქვეპუნქტებში, იმავე მუხლის შენიშვნის 3^4 პუნქტსა და მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტში, რომლის თანახმადაც, მომსახურების სააგენტო სატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო სანომრე ნიშანს, 7 თვის ნაცვლად, შეინახავს 1 წლამდე ვადით. სახელმწიფო სანომრე ნიშნის შენახვა განხორციელდება არა ფიზიკურად, არამედ პირის მოთხოვნის შემთხვევაში შესაძლებელი იქნება მათი ამ ვადის განმავლობაში ხელახლა დაბეჭდვა/გაცემა. ამასთანავე, დაინტერესებულ პირს შესაძლებლობა ექნება, ზემოხსენებული სახელმწიფო სანომრე ნიშნის გაცემა მოითხოვოს მომსახურების სააგენტოს ნებისმიერ სტრუქტურულ ერთეულში და არა მხოლოდ იმ სტრუქტურულ ერთეულში, სადაც მან ნომერი ჩააბარა. აღნიშნული მომსახურების საფასური ავტომობილის შემთხვევაში შეადგენს 35 ლარს, ხოლო მოტოციკლის, კვადროციკლის, ტრიციკლის, მოპედის, მსუბუქი კვადროციკლის შემთხვევაში მომსახურების საფასური განისაზღვრება 25 ლარი.

კანონპროექტით ახლებურად ყალიბდება აგრეთვე „სატრანსპორტო საშუალების" განმარტება; კერძოდ „სატრანსპორტო საშუალება" განიმარტება როგორც:
- მექანიკური სატრანსპორტო საშუალება;
- მისაბმელი, რომელიც განკუთვნილია მექანიკური სატრანსპორტო საშუალებებით მისი ბუქსირებისთვის;

- სპორტული დანიშნულების ავტომობილი;
- ინდივიდუალური (თვითნაკეთი) წესით დამზადებული ან გადაკეთებული სატრანსპორტო საშუალება.

კანონპროექტით უქმდება გრძელვადიანი შიდა ტრანზიტი, რომელიც 365 დღით გაიცემა და რომლის ღირებულებაც 450 ლარს შეადგენს. ვინაიდან გრძელვადიანი შიდა ტრანზიტის მომსახურებით სარგებლობა პრაქტიკაში ხშირად არ ხდება, აღარ არის ამ მომსახურების არსებობის აუცილებლობა.

კანონპროექტის თანახმად, 2023 წლის 1 მარტიდან შეიცვლება შიდა ტრანზიტის მომსახურებაც; კერძოდ, მოქმედი კანონის მიხედვით, შიდა ტრანზიტი გაიცემა ჯამში 90 დღით, რომლის დღიური საფასური 1 ლარია. ცვლილების თანახმად კი, შიდა ტრანზიტის 90 დღის ვადით გაცემისთვის განისაზღვრება ერთიანი საფასური 50 ლარის ოდენობით. ამასთანავე, უქმდება შიდა ტრანზიტის ვადის გადაცილებისთვის დღეების მიხედვით დადგენილი სანქცია ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 5 ლარის ოდენობით (ჯამურად არაუმეტეს 500 ლარისა) და დაკარგული ნომრის აღდგენის 30-ლარიანი საფასური. გარდა ამისა, მცირდება შიდა ტრანზიტისთვის დადგენილი საფასური. შიდა ტრანზიტის გაცემასთან დაკავშირებით ახალი პირობების დადგენის უფლებამოსილება ექნება საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს.

კანონპროექტის მიხედვით, ქაღალდის ტრანზიტული სანომრე ნიშნის გაცემის ნაცვლად, შესაძლებელი იქნება ლითონის სანომრე ნიშნის ფირნიშის გაცემა (საფასური – 50 ლარი).

მომსახურების სააგენტოს მიერ გასაწევ მომსახურებებს შორის ერთ-ერთ ყველაზე მოთხოვნად მომსახურებას განეკუთვნება ცნობების გაცემა, რაც, მოქმედი კანონის თანახმად, 5 სამუშაო დღის განმავლობაში ხორციელდება, ხოლო დაჩქარებული მომსახურების გაწევის ვადა 3 ან 1 სამუშაო დღეა (რომლის მიღების მიზნითაც, დაინტერესებული პირი დამატებით საფასურს იხდის); ეს ცნობებია, მაგალითად, ნასამართლობის შესახებ, უფლების ჩამორთმევის შესახებ, პირის მსჯავრდების შესახებ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემთა ბაზაში დაცული ინფორმაციის შესახებ, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთა-გადმოკვეთის შესახებ, პირის უგზო-უკვლოდ დაკარგვის გამო ძებნის გამოცხადების შესახებ ცნობები. კანონპროექტის მიხედვით, ცნობების გაცემის საერთო სტანდარტული ვადა 5 სამუშაო დღიდან მცირდება 3 სამუშაო დღემდე, ხოლო დაჩქარებული მომსახურების გაწევის სახედ მხოლოდ 1 სამუშაო დღეში ცნობის გაცემა დარჩება, რითაც მომხმარებლისთვის უკეთესი პირობები შეიქმნება.

მოქმედი კანონის თანახმად, ნასამართლობის შესახებ, პირის მსჯავრდების შესახებ და უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობების 5 სამუშაო დღეში გაცემა არის უფასო, ხოლო მათი 3 სამუშაო დღეში გაცემის, როგორც დაჩქარებული მომსახურების გაწევის, საფასურია 15 ლარი. კანონპროექტის მიხედვით, ეს ცნობები, 5 სამუშაო დღის ნაცვლად, გაიცემა 3 სამუშაო დღეში და მათი ღირებულება განისაზღვრება 20

ლარის ოდენობით, ასევე 1 სამუშაო დღეში დაჩქარებული მომსახურების გაწევის საფასური 25 ლარიდან შემცირდება 20 ლარამდე.

კანონპროექტი ითვალისწინებს ახალი დაჩქარებული მომსახურებების შემოღებას (დაჩქარებული მომსახურების გაწევას არ აქვს სავალდებულო ხასიათი და დამოკიდებულია დაინტერესებული პირის ნებაზე). კანონპროექტით შემოღებულ იქნება შემდეგი ახალი დაჩქარებული მომსახურებები: მომსახურების სააგენტოს მიერ დამზადებული/გაცემული დოკუმენტის აპოსტილით დამოწმება შესაძლებელი იქნება დაჩქარებული წესით, განაცხადის შეტანიდან 1 სამუშაო დღის განმავლობაში, რისთვისაც საფასურის განაკვეთი განისაზღვრება 30 ლარის ოდენობით; ერთ ერთეულ დაგირავებულ სატრანსპორტო საშუალებაზე ან ერთ ერთეულ დაგირავებულ სასოფლო-სამეურნეო მანქანის დამხმარე ტექნიკურ საშუალებაზე გირავნობის მოწმობის მიღება დაინტერესებულ პირს შეეძლება 1 სამუშაო დღის განმავლობაში, რისთვისაც დაჩქარებული მომსახურების საფასურის განაკვეთი განისაზღვრება 50 ლარის ოდენობით.

კანონპროექტით იცვლება გარკვეული მომსახურებისთვის დადგენილი საფასურის განაკვეთები; მაგალითად, დაინტერესებული პირის მოთხოვნის საფუძველზე, სააგენტოს სტრუქტურული ერთეულის ტერიტორიის ფარგლების გარეთ შესაბამისი აქტის შედგენით ან მისი შედგენის გარეშე ერთი ერთეული სატრანსპორტო საშუალების ან ერთი ერთეული სასოფლო-სამეურნეო მანქანის დამხმარე ტექნიკური საშუალების დათვალიერებისთვის არსებული საფასური გახდება 60 ლარი; სააგენტოს სტრუქტურული ერთეულის ტერიტორიის ფარგლების გარეთ, შესაბამისი აქტის შედგენით, ერთი ერთეული სატრანსპორტო საშუალების ან ერთი ერთეული სასოფლო-სამეურნეო მანქანის დამხმარე ტექნიკური საშუალების საექსპერტო შემოწმების მომსახურების საფასური გახდება ასევე 60 ლარი, ხოლო აღნიშნული მომსახურების შესაბამისი აქტის შედგენის გარეშე მიღებისთვის საფასური განისაზღვრება 30 ლარის ოდენობით.

პირის საკუთრებაში ან/და სარგებლობაში ერთდროულად არსებულ, ერთ მისამართზე განლაგებულ, ხუთ ერთეულზე მეტ სატრანსპორტო საშუალებაზე ან/და სასოფლო-სამეურნეო მანქანის დამხმარე ტექნიკურ საშუალებაზე დათვალიერების/საექსპერტო შემოწმების საფასური ერთ ერთეულზე:

- სატრანსპორტო საშუალების სტრუქტურული ერთეულის გარეთ დათვალიერება აქტის შედგენით ან მის გარეშე – საფასური შემცირდება 45 ლარით;
- სატრანსპორტო საშუალების სტრუქტურული ერთეულის გარეთ საექსპერტო შემოწმება აქტის შედგენით – საფასური შემცირდება 30 ლარით;
- სატრანსპორტო საშუალების სტრუქტურული ერთეულის გარეთ საექსპერტო შემოწმება აქტის შედგენის გარეშე – საფასური შემცირდება 15 ლარით.

საგულისხმოა, რომ „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურისა და ვადების შესახებ“ საქართველოს

კანონის მე-12 მუხლის შენიშვნას ემატება ახალი მე-6 პუნქტი, რომლის თანახმადაც, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით შესაძლებელი იქნება დამატებით განისაზღვროს მომსახურებისა და დაჩქარებული მომსახურების გაწევისათვის დადგენილი საფასურების წინასწარ (მომსახურების გაწევამდე) გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლების გარემოებები.

ყოველივე ზემოაღნიშნულთან ერთად, მნიშვნელოვანია, რომ „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურისა და ვადების შესახებ" საქართველოს კანონის რიგი ნორმები კანონპროექტით იხვეწება აგრეთვე სამართლებრივი ტექნიკის თვალსაზრისით და უფრო ცხადი შინაარსით ყალიბდება, რაც ასევე განაპირობებს, მათ შორის, მომხმარებლისთვის უკეთესი გარემოს შექმნას.

ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიციირებული კანონპროექტის შემთხვევაში):

კანონპროექტი საქართველოს მთავრობის მიერ არ არის ინიციირებული.

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში – აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:

კანონპროექტით წარმოდგენილი კანონის ნაწილი ამოქმედდება გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს, ხოლო ნაწილი – 2023 წლის 1 მარტიდან, რადგან, კანონპროექტის მიზნიდან და შინაარსიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია მისი ამოქმედების ამგვარი ვადების დადგენა. წარმოდგენილი კანონპროექტი არ ითვალისწინებს უკუძალის მინიჭებას.

ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას):

კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვა და მიღება არ არის მოთხოვნილი.

ბ) კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი):
ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყაროა მომსახურების სააგენტოს ბიუჯეტი (საკუთარი შემოსავლები); კერძოდ, მომსახურების სააგენტო არ ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, არამედ მისი

საქმიანობის დაფინანსების წყაროა მის მიერ გაწეული მომსახურებიდან მიღებული შემოსავლები. შესაბამისად, კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯები დაფინანსდება მომსახურების სააგენტოს ბიუჯეტიდან.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

მომსახურების სააგენტოს მომსახურებებს კანონპროექტით ემატება მომსახურების ახალი სახეები და ცალკეულ შემთხვევებში ხდება საფასურთა დაზუსტება. ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ კანონპროექტით განსაზღვრული მომსახურების აღნიშნული საფასურები მომხმარებლისთვის აბალანსებს ფასთა ზრდისა და შემცირების თანაფარდობას. შესაბამისად, მომსახურების ახალი სახეებისა და საფასურების დანერგვა გაზრდის მომსახურების სააგენტოს შემოსავალს, რაც, თავის მხრივ, სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის გაზრდას გამოიწვევს, რადგან მომსახურების სააგენტოს შემოსავლის 10 პროცენტი სახელმწიფო ბიუჯეტში მიემართება. მომსახურების სააგენტოს მოსალოდნელი შემოსავალია წლის განმავლობაში 23 000 000 ლარი.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ ახდენს სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მითითებით:

კანონპროექტი არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა:

კანონპროექტის მიღება იქონიებს ფინანსურ შედეგებს მომსახურების სააგენტოს მომსახურებით მოსარგებლე პირებისათვის, რადგან მომსახურების სააგენტოს მომსახურებებს ემატება მომსახურების ახალი სახეები და ცალკეულ შემთხვევებში ხდება საფასურთა დაზუსტება. ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ კანონპროექტით განსაზღვრული მომსახურების აღნიშნული საფასურები მომხმარებლისთვის აბალანსებს ფასთა ზრდისა და შემცირების თანაფარდობას.

კანონპროექტით გათვალისწინებული მომსახურების ახალი სახეებია:

- იარაღის შენახვის ადგილიდან ტირში ან სასროლეთში დროებით გადატანისა და შენახვის ადგილზე დაბრუნების მიზნით, რისთვისაც საფასური ერთ ერთეულ იარაღზე განისაზღვრება 30 ლარი, ერთდროულად ორ ერთეულ იარაღზე – 50 ლარი, ხოლო ერთდროულად ორ ერთეულზე მეტ იარაღზე – 100 ლარი;
- იარაღის შენახვის ადგილიდან იარაღის შეკეთების ლიცენზიის მქონე პირთან დროებით გადატანისა და შენახვის ადგილზე დაბრუნების მიზნით, რისთვისაც საფასური ერთ ერთეულ იარაღზე განისაზღვრება 20 ლარი.
- მომსახურების სააგენტოს მიერ დამზადებული/გაცემული დოკუმენტის აპოსტილით დამოწმების დაჩქარებული მომსახურების (განაცხადის შეტანიდან 1 სამუშაო დღის განმავლობაში დამოწმების) საფასურის განაკვეთია 30 ლარი.
- ერთ ერთეულ დაგირავებულ სატრანსპორტო საშუალებაზე ან ერთ ერთეულ დაგირავებულ სასოფლო-სამეურნეო მანქანის დამხმარე ტექნიკურ საშუალებაზე გირავნობის მოწმობის გაცემის დაჩქარებული მომსახურების (1 სამუშაო დღის განმავლობაში გაცემის) საფასურის განაკვეთია 50 ლარი.

ცნობების გაცემის ცალკეული საკითხები კანონპროექტით წესრიგდება შემდეგი სახით:

- მოქმედი კანონის თანახმად, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთა-გადმოკვეთის შესახებ ცნობის 5 სამუშაო დღეში გაცემის საფასურია 20 ლარი. საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად ეს ცნობა 5 სამუშაო დღეში აღარ გაიცემა, არამედ გაიცემა 3 სამუშაო დღეში და მისი ღირებულება შეადგენს 30 ლარს. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით აღნიშნული ცნობის 3 დღეში გაცემა მიეკუთვნებოდა დაჩქარებულ მომსახურებას, რისი ღირებულებაც ჯამურად 35 ლარს (15 ლარს დამატებული 20 ლარი) შეადგენდა. საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთა-გადმოკვეთის შესახებ ცნობის გაცემის დაჩქარებული მომსახურების (განაცხადის შეტანიდან 1 სამუშაო დღის განმავლობაში გაცემის) საფასური განისაზღვრა 20 ლარით, რომელიც მოქმედი კანონის თანახმად 25 ლარია).
- სატრანსპორტო საშუალების სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ ცნობის 5 სამუშაო დღეში გაცემის საფასური განისაზღვრა 30 ლარის ოდენობით (იგი მოქმედი კანონის თანახმად 20 ლარია).
- მოქმედი კანონის თანახმად, ნასამართლობის შესახებ, პირის მსჯავრდების შესახებ და უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობების 5 სამუშაო დღეში გაცემა არის უფასო, ხოლო მათი 3 სამუშაო დღეში გაცემის, როგორც დაჩქარებული მომსახურების გაწევის, საფასურია 15 ლარი. კანონპროექტის მიხედვით, ეს ცნობები, 5 სამუშაო დღის ნაცვლად, გაიცემა 3 სამუშაო დღეში და მათი ღირებულება განისაზღვრება 20 ლარის ოდენობით, ასევე 1 სამუშაო დღეში დაჩქარებული მომსახურების გაწევის საფასური 25 ლარიდან შემცირდება 20 ლარამდე.
- პირის უგზო-უკვლოდ დაკარგვის გამო ძებნის გამოცხადების შესახებ ცნობისა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით სააგენტოს მიერ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემთა ბაზაში დაცული

ინფორმაციის შესახებ ცნობის 3 სამუშაო დღეში გაცემის საფასური კანონპროექტით განისაზღვრება 30 ლარით, ხოლო 1 სამუშაო დღეში დაჩქარებული მომსახურების საფასური შეადგენს 20 ლარს.

- სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ ცნობის 3 სამუშაო დღის განმავლობაში გაცემის საფასური, კანონპროექტის თანახმად, შეადგენს 30 ლარს, ხოლო 1 სამუშაო დღის განმავლობაში გაცემისათვის დაჩქარებული მომსახურების საფასურის განაკვეთი დგინდება 20 ლარის ოდენობით.

ცალკეული მომსახურებები და მომსახურების ცალკეულ საფასურთა განაკვეთები კანონპროექტით წესრიგდება შემდეგი სახით:

- ტერმინთა განმარტებებში იხვეწება იარაღის დროებითი მოწმობის გაცემის არსებული მიზნობრიობა და განისაზღვრება ისეთი მომსახურება, როგორიც არის იარაღის დროებითი მოწმობის გაცემა შენახვის ადგილიდან იარაღის შეკეთების ლიცენზიის მქონე პირთან დროებით გადატანისა და შენახვის ადგილზე დაბრუნების მიზნით (აღნიშნული ვრცელდება მხოლოდ შენახვის უფლებით რეგისტრირებულ იარაღზე). მომსახურების საფასური, 10 ლარის ნაცვლად, იქნება 20 ლარი.
- განსხვავებულად წესრიგდება იარაღის საკომისიო წესით ჩაბარების გაცემის შესახებ ცნობის გაცემის საფასურის განაკვეთი; კერძოდ, არსებული საფასური იზრდება 10 ლარით და შეადგენს 20 ლარს.
- კანონპროექტით წარმოდგენილი ერთ-ერთი ცვლილება ეხება სატრანსპორტო საშუალების სანომრე ნიშნის შენახვის წესს; კერძოდ, დღეს მოქმედი მოდელი ითვალისწინებს ე. წ. ფასიანი ნომრების ფიზიკურად შენახვას. კანონპროექტით თანახმად, მომსახურების სააგენტო სატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო სანომრე ნიშანს, 7 თვის ნაცვლად, შეინახავს 1 წლამდე ვადით. სახელმწიფო სანომრე ნიშნის შენახვა განხორციელდება არა ფიზიკურად, არამედ პირის მოთხოვნის შემთხვევაში შესაძლებელი იქნება მათი ამ ვადის განმავლობაში ხელახლა დაბეჭდვა/გაცემა. ამასთანავე, დაინტერესებულ პირს შესაძლებლობა ექნება, ზემოხსენებული სახელმწიფო სანომრე ნიშნის გაცემა მოითხოვოს მომსახურების სააგენტოს ნებისმიერ სტრუქტურულ ერთეულში და არა მხოლოდ იმ სტრუქტურულ ერთეულში, სადაც მან ნომერი ჩააბარა. აღნიშნული მომსახურების საფასური ავტომობილის შემთხვევაში შეადგენს 35 ლარს, ხოლო მოტოციკლის, კვადროციკლის, ტრიციკლის, მოპედის, მსუბუქი კვადროციკლის შემთხვევაში მომსახურების საფასური განისაზღვრება 25 ლარი.
- კანონპროექტით უქმდება გრძელვადიანი შიდა ტრანზიტი, რომელიც 365 დღით გაიცემა და რომლის ღირებულებაც 450 ლარს შეადგენს. ვინაიდან გრძელვადიანი შიდა ტრანზიტის მომსახურებით სარგებლობა პრაქტიკაში ხშირად არ ხდება, აღარ არის ამ მომსახურების არსებობის აუცილებლობა.
- კანონპროექტის თანახმად, 2023 წლის 1 მარტიდან შეიცვლება შიდა ტრანზიტის მომსახურებაც; კერძოდ, მოქმედი კანონის მიხედვით, შიდა ტრანზიტი გაიცემა ჯამში 90 დღით, რომლის დღიური საფასური 1 ლარია. ცვლილების თანახმად კი, შიდა ტრანზიტის 90 დღის ვადით გაცემისთვის განისაზღვრება ერთიანი

საფასური 50 ლარის ოდენობით. ამასთანავე, უქმდება შიდა ტრანზიტის ვადის გადაცილებისთვის დღეების მიხედვით დადგენილი სანქცია ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 5 ლარის ოდენობით (ჯამურად არაუმეტეს 500 ლარისა) და დაკარგული ნომრის აღდგენის 30-ლარიანი საფასური. გარდა ამისა, მცირდება შიდა ტრანზიტისთვის დადგენილი საფასური. შიდა ტრანზიტის გაცემასთან დაკავშირებით ახალი პირობების დადგენის უფლებამოსილება ექნება საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს.

- იცვლება ერთი წყვილი ტრანზიტული ნომრის გაცემის საფასური, კერძოდ, ეს საფასური იზრდება 20 ლარით და შეადგენს 50 ლარს. კანონპროექტის მიხედვით, ქაღალდის ტრანზიტული სანომრე ნიშნის გაცემის ნაცვლად, შესაძლებელი იქნება ლითონის სანომრე ნიშნის ფირნიშის გაცემა (საფასური – 50 ლარი).
- ერთი ერთეული სატრანსპორტო საშუალების ან ერთი ერთეული სასოფლო-სამეურნეო მანქანის დამხმარე ტექნიკური საშუალების შესაბამისი აქტის შედგენით საექსპერტო შემოწმების (გარდა მომსახურების სააგენტოს ფარგლების გარეთ საექსპერტო შემოწმებისა) საფასური განისაზღვრება 30 ლარით. ამ მომსახურების საფასური 10 ლარით იზრდება.
- სარეალიზაციოდ განკუთვნილი, სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული ან იძულებით განკარგვას დაქვემდებარებული ერთი ერთეული სატრანსპორტო საშუალების ან ერთი ერთეული სასოფლო-სამეურნეო მანქანის დამხმარე ტექნიკური საშუალების შესაბამისი აქტის შედგენით საექსპერტო შემოწმების საფასური განისაზღვრება 40 ლარით. მომსახურების სააგენტო ამ მომსახურებას დღესაც ახორციელებს, თუმცა აღნიშნული მომსახურება კანონპროექტით ცალკე მომსახურების სახედ განისაზღვრება.
- ერთი ერთეული სატრანსპორტო საშუალების ან ერთი ერთეული სასოფლო-სამეურნეო მანქანის დამხმარე ტექნიკური საშუალების შესაბამისი აქტის შედგენით ან მისი შედგენის გარეშე დათვალიერების (გარდა სააგენტოს სტრუქტურული ერთეულის ფარგლებს გარეთ დათვალიერებისა) საფასური განისაზღვრება 20 ლარით.
- დაინტერესებული პირის მოთხოვნის საფუძველზე, სააგენტოს სტრუქტურული ერთეულის ტერიტორიის ფარგლების გარეთ ერთი ერთეული სატრანსპორტო საშუალების ან ერთი ერთეული სასოფლო-სამეურნეო მანქანის დამხმარე ტექნიკური საშუალების შესაბამისი აქტის შედგენით ან მისი შედგენის გარეშე დათვალიერების საფასური განისაზღვრება 60 ლარით.
- დაინტერესებული პირის მოთხოვნის საფუძველზე, სააგენტოს სტრუქტურული ერთეულის ტერიტორიის ფარგლების გარეთ ერთი ერთეული სატრანსპორტო საშუალების ან ერთი ერთეული სასოფლო-სამეურნეო მანქანის დამხმარე ტექნიკური საშუალების შესაბამისი აქტის შედგენით საექსპერტო შემოწმების (გარდა სარეალიზაციოდ განკუთვნილი, სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული ან იძულებით განკარგვას დაქვემდებარებული ერთი ერთეული სატრანსპორტო საშუალების ან ერთი ერთეული სასოფლო-სამეურნეო მანქანის დამხმარე ტექნიკური საშუალების შესაბამისი აქტის შედგენით საექსპერტო შემოწმებისა) საფასური განისაზღვრება 60 ლარით. ამ მომსახურების საფასური 20 ლარით იზრდება.

- დაინტერესებული პირის მოთხოვნის საფუძველზე, სააგენტოს უფლებამოსილი პირის მიერ ერთი ერთეული სატრანსპორტო საშუალების ან ერთი ერთეული სასოფლო-სამეურნეო მანქანის დამხმარე ტექნიკური საშუალების რეგისტრაციისათვის ან აღრიცხვიდან მოხსნისათვის საჭირო განცხადების/ერთობლივი განცხადების მიღების ან/და შესაბამისის ადმინისტრაციული საქმის წარმოების (სრულად ან ნაწილობრივ) ან/და სარეგისტრაციო ნიშნების ჩაბარების (სააგენტოს სტრუქტურული ერთეულის ტერიტორიის ფარგლების გარეთ) საფასური განისაზღვრება 50 ლარით. ნორმა ტექნიკურად ზუსტდება.
- დაინტერესებული პირის მოთხოვნის საფუძველზე, სააგენტოს სტრუქტურული ერთეულის ტერიტორიის ფარგლების გარეთ ერთი ერთეული სატრანსპორტო საშუალების ან ერთი ერთეული სასოფლო-სამეურნეო მანქანის დამხმარე ტექნიკური საშუალების შესაბამისი აქტის შედგენის გარეშე საექსპერტო შემოწმება განისაზღვრება 30 ლარით. ამ მომსახურება საფასური 10 ლარით იზრდება.
- საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, სააგენტოს მიერ სასაქონლო ოპერაციისათვის განკუთვნილ სატრანსპორტო საშუალებაზე საბაჟო დეკლარაციის შევსება ან აღრიცხვის მოწმობის გამოწერის (გარდა ერთ ერთეულ სატრანსპორტო საშუალებაზე ავტოსატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის მოწმობის შევსებისა (გარდა რეექსპორტისას)) ან/და სასაქონლო ოპერაციის გამოყენებასთან დაკავშირებული ინფორმაციის (დოკუმენტების) შემოსავლების სამსახურისათვის და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის მიწოდების ან/და შესაბამის მონაცემთა ავტომატიზებულ ბაზაში ასახვის საფასური განისაზღვრება 50 ლარით. ნორმა ტექნიკურად ზუსტდება და აღნიშნული მომსახურების საფასური 20 ლარით იზარდება.
- ერთ ერთეულ სატრანსპორტო საშუალებაზე ავტოსატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის მოწმობის შევსების (გარდა რეექსპორტისას) საფასური განისაზღვრება 30 ლარით. ამ მომსახურების საფასური 10 ლარით იზარდება.
- პირის საკუთრებაში ან/და სარგებლობაში ერთდროულად არსებულ, ერთ მისამართზე განლაგებულ, ხუთ ერთეულზე მეტ სატრანსპორტო საშუალებაზე ან/და სასოფლო-სამეურნეო მანქანის დამხმარე ტექნიკურ საშუალებაზე დათვალიერების/საექსპერტო შემოწმების საფასური ერთ ერთეულზე:
  - ✓ სატრანსპორტო საშუალების სტრუქტურული ერთეულის გარეთ დათვალიერება აქტის შედგენით ან მის გარეშე – საფასური შემცირდება 45 ლარით;
  - ✓ სატრანსპორტო საშუალების სტრუქტურული ერთეულის გარეთ საექსპერტო შემოწმება აქტის შედგენით – საფასური შემცირდება 30 ლარით;
  - ✓ სატრანსპორტო საშუალების სტრუქტურული ერთეულის გარეთ საექსპერტო შემოწმება აქტის შედგენის გარეშე – საფასური შემცირდება 15 ლარით.

ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ, კანონპროექტის თანახმად, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით შესაძლებელი იქნება დამატებით განისაზღვროს მომსახურებისა და დაჩქარებული მომსახურების გაწევისათვის

დადგენილი საფასურების წინასწარ (მომსახურების გაწევამდე) გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლების გარემოებები.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

მომსახურების სააგენტოს მომსახურებებს კანონპროექტით ემატება მომსახურების ახალი სახეები და ცალკეულ შემთხვევებში ხდება საფასურთა დაზუსტება (იხ. „ბ.ე" ქვეპუნქტი). ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ კანონპროექტით განსაზღვრული მომსახურების აღნიშნული საფასურები მომხმარებლისთვის აბალანსებს ფასთა ზრდისა და შემცირების თანაფარდობას.

ბ[1]) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე კანონპროექტის ზეგავლენის შეფასება:

კანონპროექტი არ ახდენს გავლენას ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:
გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, – მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს. კანონპროექტის მომზადება არ არის დაკავშირებული ასეთ ხელშეკრულებასთან/შეთანხმებასთან.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან" ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:

ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტის შემუშავებისას კონსულტაციები გავლილ იქნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების, სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში:

ასეთი მიმოხილვა არ მომზადებულა.

ე) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს პარლამენტის წევრები: ანრი ოხანაშვილი, დავით მათიკაშვილი, ირაკლი შატაკიშვილი.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს პარლამენტის წევრები: ანრი ოხანაშვილი, დავით მათიკაშვილი, ირაკლი შატაკიშვილი, რატი იონათამიშვილი, გურამ მაჭარაშვილი, ნინო იობაშვილი, გიორგი ამილახვარი, ალექსანდრე ტაბატაძე, ალუდა ღუდუშაური.